

ნიაზბი

ქართული
გზამკვლევი



მას არც ავანსი მიუღია სახელგამიდან,
არც სახკომატთან დაუდვია კონტრაქტაცია,
მაგრამ კალამი მომართული მშრომელი ხალხის
სამსახურისთვის დროშასავით მაღლა ასწია.
მან იუცხოვა რომანტიკა პირადი განცდის,
რადგან შეიგნო ათას გულის ათასი სევდა.
და სიტყვა მისი მკვეთრი და თან ხვედროვანი
ჩაგრულის ცრემლებს აქვავებდა, ტყვიად აქცევდა.
ის ჩვენს მწერლობას თავს ადგია, როგორც
გვირგვინი.
თუმც შეიძლება ზოგს ეს სიტყვა რომ ეთაკილოს.

მაგრამ მითხარით კალმოსნებო, საქართველოში
ვინ წააგარბა ნინოშვილის აზრსა და კილოს?!

მისი სურათი მოკრძალებას, სიღინჯეს ხატავს
ვენს მწერლებში კი მრავალი გვყავს დღეს მამლაყინწა,
ზოგი შექსპირობს, ზოგიც კიდევ ვაჟაფშაველბობს,
ზოგს კი მისტოლად შოთას გარდა სხვა არავინ სწამს.
ჩვენ ამ წვრილფეხა პამბადურებს ისე ვუტყქერიტო,
ვით უნაყოფო პურის თაველს,—ბელურას ნაკენკს,
და კალმოსნების გასაგონად, სახელმძღვანელოდ,
ვაყენებთ ლოზუნგს: წინ მწერლებო, ეგნატესაკენ!
მელუშა.

მავარეპედიკი--ნიდუვილის გვირგვინი ურთად

ოზურგეთის ვაგონში ელექტრო „გაზარბადა“ და სხვადასხვა თემაზე და სხვადასხვა კილოზე გაჩაღდა საუბარი.

ერთ კუბეში, სადაც შუახნის, წვერ-ულვაშიანი, ნაცრობი და სანდომიანი სახის კაცი იჯდა მგზავრებით შემორტყმული, ასეთი მუსაიფი გაიბა:

— თქვენ საით?
— ლანჩუთს მივდივარ შენი ქორიშე!

— იქაური ხართ?
— მახლობელი სოფლიდან ვარ, მარა იქ გმოუშაობ, ემტეესში.

— ტფილისიდან მოდიხართ?
— კი შენი ქორიშე!
— რაზე ყოფილხართ?
— დაგვდგეს იქინე!

— რა გიქნეს?
— დაგოიის შენ გენაცვალე!
საერთო განცვიფრება და გაურკვეველობა. სანდომიანი სახის კაცი ყველაზე მეტად განცვიფრდა.

— არ მესმის ამხანაგო, როგორ თუ დაგვდგეს?

— კი შენი ქორიშე, ყველანი დაგვდგეს, აგერ ვინც ვართ, ყველანი! იქით კუთხეშიც რომ არიან, იგინიც დადგეს, აგერ რომ მოერიან იგინიც, — კი ხანია რაც გვდგამენ, მთელი სოფელ-ქვეყანაი გენახულობს და „ვაშა და ბისიო“ გვიძახის.

გაკვირვება გაუგებრობაში გადადის.

— რაღაც გაუგებარია თქვენი ლაპარაკი.

— რაგა შენი ქორიშე, ნახტავლი ჩანხართ და დადგმას თუ ვერ გვიგებდით, რაგა მიგონა. არ — ვიცი ძველათ რა ერქვა ამას, ახლა კი დაგდებით გვიჩივიან!

— ძველად რას შერებოდით?

— ძილათ, შენი ქორიშე, დაწერილი ვიყავით და გვკითხულობდენ. მაშინ არ გვდგამდენ. გვკითხულობდა აი ჩვენი სთანა ბაღბი, მშრომელობი და ჩაგრულები, გვკითხულობდა უყვარდით, ჩვენ მათთან ვიყავით და იგინი ჩვენი თან, ებრძოდით და ქვე გვეიმარჯვეთ. ვენაცვალე ჩვენს შემქმნელს, რაგაც იმან გვიწინაწარმოტყველა, სტორეთ ისთე გამევიდა: მოესპეთ ძველი დრო; ჩვენ ჩოუდუქით სათავეში ახალ

ცხოვრებას და ვაშენებთ. ა ჩემი დამკვერელობის წიგნაკი.

მოსაუბრემ ამოიღო წითელი წიგნაკი, რომელსაც ეწერა:

„დამკვერელი ტრაქტორისტი“.

— ახალი ადამიანი. — ჩავიღობარაკე მე!

— ახალი კი ვართ, მარა ძველად რაგარც ვიყავით, ისთე დაგვდგეს, ჩაურთო ისევ იმან. ჩვენს გაუგებრობას მაინც ბოლო არ უჩანდა.

— ვინ დაგვდგათ, რატომ დაგვდგათ ამხანაგო?

— ვინ დაგვდგა შენი ქორიშე. — ასთე გეკითხა თავიდან. ვინ დაგვდგა და მარჯანიშვილის თეატრმა: დოდო ანთაძემ; დაგვდგა უშანგი ჩხეიძემ, შალვა ლაშაშვიდემ, ერთი სიტყვით, მთელმა კოლექტივმა დაგვდგა და გვითამაშა.

ფრჩილებს გახსნამ სიცილიც გამოიწვია და ცნობისმოყვარეობაც:

— მაშ „ნინოშვილის გურიასზე“ ლაპარაკობთ?

— სტორეთ „ნინოშვილის გურიასზე“. მე იმისი ერთი გმირი გახლავართ:

— პოო, შენი სახელი?

— მე, გოგია უიშვილი ვარ შენი ქორიშე! ა, ესეც კაცია მუნჯაძეა, ჩვენი კოლექტივის თავმჯდომარე. აგე² ოქრუა და სოფონაც იმ კუთხეში სხედან — იგინი ძველი კატოდოლებია, მარა ჯერ კიდო ახალგაზრდული გატაცებით იბრძვიან სოციალიზმის აწენებინა!

მერე უცბად შეგვეკითხა.

— თქვენ გურულები ხართ?

— დიან.

— მაშ გეცოდინებათ, სპირიდონ მცირიშვილის ამბავი: იგი რაიგანყოფილების გამგედ დეინიშნა, დესპინე კი ქალთა განყოფილებას ხელმძღვანელობს. დავით დროიძის ნამძულარში რომ საბჭოთა მეურნეობა მოეწყო, იმის დირექტორად ბეჟან ტყისპირელიძეა, — მარა ერთი მარცხი დაემართა საწყალს: საცხადო-დან შეეპარა ტარიელ შვალავაძე „ზანზოზათ“ დანიშნა და თურმე მოსკოვში მიავლინა. აბა ხულოვანი და არამზადა-მისას რაგა მეიშლიდა, იქაც უქნია მისებური, მარა გოუკოტავთ, იცოცხლე! ბეჟანამ სასტიკი საყვედური და გაფრთხილება მიიღო.

— ეგნატეს დანარჩენი გმირები რას აკეთებენ?

— ყველა ჩაბმულია სამშენებლო-ბაში. აი ქრისტეს მშენებლის კათა-გია ინჟილერია, პიროსადგურს გვიშენებს, მუნჯაძის ბიჭი, კოლხი-დის ამოშრობას ხელმძღვანელობს. ჩემი ბიჭებიც ერთი აგრონომია ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, მეორე ფაფრიკის დირექტორია, მესამე პარტიულ ხაზით მუშაობს!

— მზაგვრელები და პარაზიტები?

— იგი მოვსპეთ, როგორც კლასი! ლაპარაკში თანამგზავრი გლეხი ჩამოერია:

— კი მარა, მე რომ ნინოშვილის ნაწერებიდან ვიცი, შენ რაც სახელები ჩამოთვალე, მაგენი მკვდრები მგონია და რაგა განიღის ახლა, ვერ გავიგე.

— სცდები ამხანაგო, — მიუფო მას სანდომიანი სახის მგზავრმა. — ეგნატე ნინოშვილის გმირები ცოცხლები იქნებიან მუდამ იმითომ, რომ მისი გმირები მშრომელი, ხალხია, რომელიც იბრძოდა, რომელმაც ძველი დაამსო და ახალ ცხოვრებას აშენებს, მათი შუადგმა ახალი თაობა, რომელიც სასწაულებს ახდენს ჩვენი ქვეყნის აყვავების საქმეში. უკვდავია ნინოშვილიც, ამიტომ, რომ იგი მშრომელი ხალხის სოფებაში ცოცხლობს და აცოცხლებს მუდამ, როგორც დიდი შემოქმედი და მებრძოლი

— ასეა, ასე! — ერთმანდ უპასუხა ხალხმა, რომელიც ამ საუბარში მოგროვდა ჩვენს ირგვლივ.

— ასთეა, ვენაცვალე იმ კალძის წვერში, — დასძინა უიშვილმა.

— ახლა საით მიემგზავრებით? — შევეკითხე მე.

— რაიონში შენი ქორიშე, მცირიშვილმა დაგვიბარა, ახლა იქინე ეგნატეს ხსოვნის აღსანიშნავი კვირეულები ეწყობა და მონაწილეობის მისაღებად მივდივართ.

მაგრამ ჩვენი საუბარი დანარდობა გაჩაღებულმა მსჯელობამ კვნათეს შემოქმედების შესახებ.

— უკვდავია ეგნატე ნინოშვილი!

— დიდი კლასიკოსია ეგნატე

— მაღლიერი მშრომელი ხალხი ღირსეულად აფასებს მას.

ეს სიტყვები ხმაურობს მთელს საქართველოში!


ფარსადან.

გენათა თავის გვირგვინი

„ნინოშვილის გურიის“

ნან. დონის

მეგობრული ეპოქის
გზისკენ
შარტი



„ნინოშვილის გურიის“ დამდგმელი
კ. მარგანიშვილის სახელობის
თეატრის რეჟისორი
დოდო ანთაძე

სელოშვილის სახელობის

— ამ მოქალაქეს ხელში ვეებერთელა კორძებიანი შვინდის კეტა
უჭირავს. ვინ უნდა იყოს?
— ალბად კრიტიკოსი იქნება.

ამს. მ. ბოგოშელიძის მოხსენება

ამხანაგმა მალაქიამ კითხვა მწვავედ დააყენა, ვით ექიმმა პრაქტიკოსმა, მწერლებს გაუსინჯა ენა. ეს სურათი დოსტაქრული სანახავად იყო ცუდი: ბევრს ჰქონია გრძელი ენა, მაგრამ არ გვინახავს ტბილი, ვნახეთ ენა: მწარე, ჩლუნგი, მაგრამ არ გვინახავს ტბილი, მწერლებს ჯერ არ ამოსვლიათ თურმე გრამატიკის კბილი. მიტომ არის გარკვეულად ვერ ამბობენ სიტყვას ქართულს და მათ ფრანს ვერ გაიგებ, კუთხურ ხლართით გადახლართულს. ამხანაგმა მალაქიამ ბევრ კალმოსანს დასცხო ძმურად, გაუწყრა და დაარიგა, — თუ კი ვინმემ იღო ყურად.

ბ. ნადირაძე.

ბ. ნადირაძემ პირველმა ასტენა აყალ-მაყალი: განაცხადა — ყოველ ფრანს მახინჯ სახით გვაძლევს ალი, მის დაწერილს როს კითხულობთ გეგონებათ წერდა მთვრალი; ც. მელაძის წერილები არის უგემური წყალი, ტ. ტაბიძის ენა ყურში ყაცს ესობა, როგორც ბრწყალი.

მიხ. ჯავახიშვილი

ამ დღეებში წამოვაგე შამფურზე გეთაყვათ მენა, მეტად გონჯად დახორკლილი ტიციან ტაბიძის ენა. საზოგადოთ ნერვებს მიშლის ცილო გვირბს იქითური, მაგრამ ქვემო იმერულმა სულ მთლად გამისერიტა ყური. ცილომ მეტად წუნსადებმა ხონ-სამტრედია მათხოჯის; მე იმ ენას მიჩრევნია ენა ბორჩალოელ ხოჯის.

პაოლო იაშვილი

პაოლომ თქვა: ქართულ ენას ენაცვალოს ჩემი თავი, მე ტიციანს არ დავიცავ, არის ძნელი დასაცავი; მაგრამ ვიტყვი — ხშირად თვითაც ცდება მისი გამციცხავი (მიხეილი გაგულისდა თქვა: ვის მადრის ენა ავი!) გვლავ დასძინა: ამ სიტყვისთვის თუნდაც შემაჩვენოთ, დამგმოთ, — პეტრაქი და ბულკი, რაჟკი. ჩვენ არ ძალგვიძს გადმოვთარგმნოთ!

კ. გამსახურდია

ჩემისთანა მაღალ ოსტატს ხელი არ მოევიდება; ჯერ მე ვარ, შემდეგ მერჩული, ქართველი ერის დიდება. მე ბრალს მდებენ თითქოს მჭირდეს გაუსწორებელი სენი, თითქოს ჩვეულ მძაღვ ტრაბახს არ იქნა, ვერ დავცხენი. მიჰქარავენ! რის ტრაბახი! ნახეთ ჩემი გახუ ქოსა; ჰავებადეს მე ვჯობიარ, გახუტე გამაქლასიკოსა.

უ. დადიანი.

აქ ზოგ-ზოგი ყმაწვილები გამოდიან ბაქი-ბუქით. დიდი კანდიგერბაა: ნიჭს იცნობენ თავის შოქით. ერთსაც დავსქენ რადგან მაღა არ მაქვს ბევრი საუბარის: „თეთრსა და შავს აბანოში გაარჩევენ“ — ნათქმა არის.

ს. კლდიაშვილი

სერგომ თქვა: ჯავახიშვილო, ჩემკენ იბრუნე სათვალე, მე მოგახსენებ შეცდომებს, — ყეთილინებე დათვალე. და დაიწყო მან კრიტიკა მტრული, არა მეგობრული, მალაქიას არ დაუჯდა, ერთობ მოუვიდა გული; და შერისხა: კლდიაშვილო, ავ-ენა ხარ მეტის მეტი... გაარჩევენ — სწორი არის.

გაგითავდა რეგულაციები და ორატორს პირში შერჩა. სიტყვა შუა განაწყვეტი.

სანდრო ჯანაშიაშვილი

სანდრომ უთხრა ჯავახიშვილს, ჩვენი პროზის მთვარე ბადრო, არ გეწყინოს ერთი-ორი სილა უნდა შემოგადრო. შემდეგ გონჯ-გონჯი გამოთქმა არსენაში მოუხანა, — მიხეილ საბას ძის მტრები ხარხარებდნენ: ხა-ხა-ხა-ხა... შეცდომები ჩაეწერა სანდროს გამსახურდიასი, თვითონ ამბობს იქნებოდა არ ნაკლები, თუ არ ასი; მაგრამ სანდროს დაკარგოდა ხელნაწერი ის ძვირფასი. და კოწიას თუმცა ზეპირად შეცდომა ვერ მოუყვანა, ისე მილანძოა კახურად რომ სიცოცხლე შეანანა უთხრა: შენ ასეთ-ისეთო, ჩვენ კაცნი არა ვართ განა, რას ყოყმობ, მე თორმეტი არ მეყოფა შენისთანა.

*

მკითხველებო მამატიეთ ანგარიში არა სრული; მთელი რიგი პოეტების არ ჩამიწერია თქმული. ისე დისპუტს მე მთლიანად ვერ შევასხამ ხოტბა, ქებას, ერთმანეთის ლანძღვა-თრევის, ზოგ-ზოგების თავის გდებას, მიტომ არის ორატორთა გცილობ მე აქ განქიქბას.

გაიოზ ყირიშაილი.

ვანო ქარიანი

გამოცხადდა თუ არა მწერალთა ახლად კავშირში მიღება, ვანო ქარიანმა თავის დაგეშილი კალამი ენით გაასუფთავა — ყველა მწერალთა კავშირის წევრია და მე კი კავშირის გარეთა ვარ დარჩენილი, ეს პირდაპირ მიუტევებელი ცოდვაა. მე ორმოცდაათი სხვადასხვა წიგნი მაქვს დაწერილი და კანონით პირველი მე უნდა ვიყო კავშირის წევრად. სადაც ძველი ანკეტა იშოვა და დაიწყო შევსება.

1) სახელი და გვარი? — ივანე ფშუტ

2) ფსევდონიმი — ქარიანი.

3) რა გაქვთ დაწერილი და რას სწერთ? — 50 წიგნი მაქვს დაწერილი, მაგრამ ჯერ არ დამიბეჭდავს. ამჟამათ ვწერ ჯდება თუ არა მწყერი ხეზე, ნიჭზე და მე.

4) რომელ სტილზე სწერთ? ტილზე არა და ბალნინჯოზე უკვე დამთავრებული მაქვს რომ რადგან უკანასკნელი უფრო მახებს.

5) პარტიულობა? — გლენი, 1 წელში მონაწილეობას ვღებულდი, მაგრამ რაში ვღებულობდი ნაწილეობას არ მახსოვს.

6) რა კავშირი გაქვთ უცხოეთთან? — კავშირი ალარაფ რადგან უკვე სიბერეში შევედი.

7) იცით თუ არა — მართლწე მწერალი ვარ და მართალზე თუ დავწერ ტყუილს ვინ დამიჯერ ასეთივე შინაარსის პასუხები ცა ქარიანმა დანარჩენ შეკითხვა ქარიანმა დადარჩენ შეკითხვაზე ანკეტა ჯიბეში ჩაიდვა და რაღათა კავშირისკენ გაემართა.

ივანე



გაუზ ზმრილი

ზოგიერთ კოვტს

„ხელოვანთა სასახლეში ენის სიწმინდის დაცვის საკითხებზე მოწყობილი დისპუტი ზოგიერთმა მწერალმა თავის ქებისა და ტრაბახის საშუალებად გამოიყენა. ზოგმა კლასიკოსობის კანდიდატად გამოაცხადა თავი და სხვ. და სხვ...“.

მოსმენილიდან.



— გულმკერდიც აგიუვდებათ, ვაჟებო, ივარდიო. ჩემი ხართ გამგრძელებელნი? ამაოდ რას იქადითა?!

მოგესალმებით მწერლებო, მომაქვს სალამი მზიანი,— ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენგან მოძღვნილი იანი,— თუმც ეგებ აღარ გახსოვდეთ უძეგლო-საფლავიანი!

ჩემთვის თუ მოიცალოდეთ, სიტყვა მაქვს დანაბარები კლასიკოსების თხოვნითა მოგწერეთ მე ეს ბჭკარები,— შოთაის მზემა, არ მინდა— თქვენსავით გოზორარები! ჩვენთან ამბავი მოვიდა, ცამათ გქონიათ ცხარები; ნასრგვი სიტყვით გილევწავთ, ერთ-ერთის ჩაჩქან-ფარები,— ენა ფაღავენად გყოლიათ.

ზედა გდისთ ოოოის ღვარები! ბევრს დაუყენავს ქარ-ბუქი, მომსკლარა სიტყვის თქერანი,— ზოგს—ბუღბუღობა სდომებავ, თუმცა აქვს ყვავის მღერანი,

და ზოგსაც გაუშოლტია, ბარათაშვილის მერანი!

ზოგი გამსტარა ჯირითში, როგორც ჩარგალში ხატობა! არწივით მოაჩვენებდა, თავის მყივანა ბატობას,— კლასიკოსობას ჩემობდა, ითხოვდა კანდიდატობას!

ამაზე ჯახი ამღვარი, მოსვლია ბევრსა ცილობა: მოუთხოვია პარნასზე ადგილი თავის-წილობა, — ეგებ სვალ აღარ დარჩესო. დაუწყავ „დისპუტილობა!“.

ვინა ხართ, არვი ძმობაშა, მაგნაირ მოუთმენარი;

ოას იბრძვით იმაებზედა — პარნასი საითკენ არი?— რა ვქნა არ მამდის ჭკვაშია, რაც ზაქებური ვერ არი! თავის ქება და ყვინიწო, როლისა ჰქმნიდა სახელსა?— სახელი იმისი არი, ვინც ნიჭს ხალხისთვის ახელსა და თავის საქმით ამტკიცებს ხსოვნას—უკვდავად სამხელსა! იბრძოლეთ, იმუშავეთ კალმები ცვითეთ წერასა,— დაიმსახურეთ ჯეროდის, კლასიკოს გახდით მერასა, და მაშინ, თუ არ გეყოფათ, ადგილს დაგითმობთ ჩვენასა! სიარსი.



მუშაკრი:—მე-17 ყრილობამ — კი არ ვიცოდი თუ ეს დაულოცავ იხეივე მავნე იყო, როგორც შინა
 ჯიშის სხვა მავნებლები! აი ეს არის, რომ ყოველივე ცოცხალ საქმეს წყალწყალა და გაუთავებელი სიტყვუ-
 ბის ნიაღვარში ანრჩობს!



არც ერთ მათგანს არ უნახავს ტყე უსიერი, ზოგს სურდო შეხვდა, ზოგს გაუწყრა წმინდანი ნინო, ზოგსაც უღიროდ გაუჩერდა კალმისა წვერი, ვისაც ექიმმა აუკრძალა კახური ღვინო.

ესე ამბავი ფანტაზიის ნაგებკვები, მკითხველო ჩემო, არ გეგონოს მთლად მონაწირობი. ღექსი არ არის არც რეზინა და არცა კევი, დეზი თუ ჰკარი, გაჯიქდება ვით ტანჯალორი.

ეს საქმე მოხდა ათას ცხრას ოთხმოცდაათში, წყალქვეშა ნავით მიმავლინეს მე მაშინ ჰადესს. „შენი ტორპედო ას კილომეტრს თითო საათში გადალახავს“, — დამაბარეს, გამომიცხადეს.

ველარ გვამობთ რა არ ვნახე წყალთ სამეფოში, რა უჩინოებები, რა თევზები, რა გველეშაპი! ნავში ვიწვექი გასუღრული ვით ბაზრის ღოში, წყლის ეშმაკებმა მე დამიგეს გზადაგზა სხაპი, თუმცა აქ არ იყო არც ბენიტო, არც ძველი რაპი, ამბავი ესე გვიან მოხდა, — მოგესხენებათ, ჟარესია თუ ნიანგმა კაცს უქნა ყლაპი, ველარ გიშველის ველარც ღექსი, ვერც მოხსენება, — მაგრამ ჯიბეში აღმომაჩნდა მე ნიანგკორის, ძველი ფირმანი (აქ გვიქვია იმას მანდატი), რას მიშველიდა სიგელები მე ძაგნაკორის, ან ქაშუეთის ტხენოსანის ვერცხლისა ხატი, წყალთა სივრცეში უგზო-უკვლოდ მოხეტიალე ქვესკნელმა ნავი მიიზიდა ვით ანდამატი, მყის შემომენტო გარეშემო მგზნებარე ალი, დანთებულყო ჯოჯოხეთის ცხუნვარე ზვატი.

ველარ ვიცანი ჯოჯოხეთის მე სამყარონი, ფისის ზღვა იყო, აღარ სჩანდა არსად ხარონი, პირველ ჯურღმულის შესავალთან ცეცხლოდებული იჯდა პლუტუსი სახელგამის ჩვენი ბარონი.

გაწითლებული, ვით სამხრეთის ცხელი მზისშვილი, მავლაცხურის ძველ ზანდუკებს ცოცხითა ჰგვიდა, ვიცან ნიკოლო (საიქიოს თვით: მიწისშვილი), იქავე იყო გასტიანი (სახელად ლიდა), აქ იყო ყველა, აყლაყუდა და ერთი ციდა, ყველა ტალანტის, ყველა ჭკუის და ყველა ზომის, იქ სამზეოში ვინც კი ქმნიდა და მელანს ღვრიდა, ვისაც სურვილი კი ჰქონია წერის და ჯდომის.

მოგესხენებათ ვერც კლანჭები მძვინვარე ღომინ, ველარც უნარი ინტრიგების ველარც სიფლიდის, ვერცა უნარი მუშაობის, გულდასმით შრომის, ვერ მოაბრუნებს, ჯოჯოხეთში თუ ვინმე მიდის.

ვიცი მწერლები თავმოყვარე ხალხია დიდი, ჯოჯოხეთშიაც ყველას უნდა იყოს სპასპეტი, რომ სააქოს არ დაერღვას ვინმეს სიმშვიდე, მინდა ხსენება იყოს მათი დღეს აღფაბეტი.

საშა აბაშელს თავზე ედგა ნათლისა სვეტი, შემოგლებოდა გარეშემო ცეცხლისა ალი, შემოტრუსვოდა ალისაგან უღვაშის წვეტი, „მომავშველეთ“, — იძახდა — ბორჯომის წყალი.

სოსო გრიშაშვილის გარს ეხვია სამიოდ ქალი, ტუჩზე ეფინა ნებიერად კოცნის ნაპენტი, გამსახურდია კონსტანტინე როგორც ფირალი იდგა ოთხიოდ ეშმაკებით გარსშემორტყმული, ეუბნებოდა მე შამილის მიძვესო გული და შეემართა ფატალურად ირაკლის ხმალი. თუ მაგობოთო დამხურეთ თავზე მანდილი,


გაცეცხლებული მეგობარს წამს ყიჟინაზე როგორც ერთგული ძმადნაფიცი და ავთანდილ მყისვე მოვარდა კონსტანტინე მუნ ქიქინაძე, იქვე იბრძოდნენ იაშვილი, გაფრინდაშვილი. ეშმაკეულებს უყივოდა თავად ბენიტო, ჯოჯოხეთიდან ყველას ერთად გადაგდენითო. ნაროუშვილი მოდიოდა ღექსების თქეშით, ეუბნებოდა ჩაგამწყვდევეთო ჩემს სამხეცეში. სანდრო ეუღი, ნიანგებით შემოსული იდგა იბრძოდა, ეს კმაწვილი ხუჭუჭთმოვანი, აპა გამორჩა მემარცხენეთ ასორტიმენტი, მცირე რაზმეულს მოუძოდა თვით ჩიქოვანი.

ერთ მაღალ ლოდზე შემდგარიყო ბესიკო ჟღენტ, უქადაგებდა ამ აღრენილ ეშმაკეულებს. მე შემეშინდა, ჩამოვჯექი იქვე ვრანიტზე და გზა ვუტეე ბნელეთისკენ სულებს წყეულებს, გადავიჩენე მოზღვავებულ ცოდვილთა ბრბოში, უცებ გამოჩნდა კონსტანტინე ლორთქიფანიძე ხმაო შემართული მოდიოდა თავისი დროშით, ჯავახიშვილი მიხეილი არ დასამალი, მიბატუნებდა მარაბელის გატეხილ ხმალით. პლატონ ქიქოძე შემჯდარიყო ეშმაკის რკაზე იქვე იბრძოდნენ დემეტრაძე, რაჟდენ გვიტაძე.

გამობარი ფისი მოდიოდა თქეშით, დგანდგანით. მაშინ შევნიშნე მარტოხელა, ლოცვად დამდგარი იქ ხარტოხი (ტანზე ეცვა თეთრი ხიტონი). მაგრამ ჩავიდა ჯურღმულებში ბნელი გამეფდა, ვრიგოლ ცეცხლაძე ჯოჯოხეთშიც ლიქიებით ჰყოფდა.

შანასკერტილი.

ნახ. ღონის



„მწერალი“ — ვა, რა ყოფილა ეს ბარათაშვილი?! სახწორის ცალ მხარეზე ჩემი ამოდენა ნაწერები დავდე, მეც ჩამოვკიდდე, მაგრამ მაინც ვერ დავწონე!

ფოსტისა და „სოიუსპრესის“ წყალობით (წყალის მნიშვნელობით) ჩვენთვის (პროვინციისთვის) ათდღიური „ლიტერატურული გაზეთი“ გადაიქცა ათთვიურად, ხოლო ყოველდღიური გაზეთი — ყოველთვიურ გაზეთად, რადგან პირველს ათ თვეში ერთხელ ვღებულობთ, ხოლო მეორეს — თვეში ერთხელ...

მივიღე „ლიტ. გაზეთის“ ნომერი, რომელშიაც თქვენი პოემა არის: „თქმულება ამირანზე“. წინასიტყვაობაში ამბობთ, რომ „ავტორს ხურს ასახოს ახალი ადამიანი და მხატვრულად გაშალოს მიმდინარე ეტაპი ჩვენი ცხოვრებისა“. ეს კარგი საქმეა, მაგრამ მე მაინც შეჩერდებიან ზოგიერთი რამ, და ამიტომ ნება მიბოძეთ გამოვთქვა ჩემი აზრი.

პ. ც. პროფ. ივ. ჯავახიშვილს თუ დავუჯერებთ (და როგორ შეიძლება არ დავუჯეროთ!) „თქმულება გავაკისონის ქედზე მიჯაჭვული გმირის შესახებ საქართველოში არსებობდა უკვე ქრისტიანობის წინააღმდეგობის დროს“ (გვ. 150). მაგრამ თითონ ამირანი „მოღვაწეობდა“ პრეისტორიულ დროში, როცა პირველყოფილი ადამიანი ახალ ჩამოსული იყო ხიდან და იწყებდა მიწაზე ცხოვრებას.

მაგრამ ამას თავი დავანებოთ და პირდაპირ თქვენი პოემიდან დავიწყოთ საუბარი.

სვეტებს პირდაპირ მივყევით. აი, თქვენ წერთ:

ქილოფზე ისდენ კატა და ძაღლი, ეკრა სიმშვიდე ორივე ბანაკს, — თითქო უთხრობდენ

ბუნებას დაღლილს ქილილასა და დამანას არაკს.

რა თქმა უნდა ამ ტაეპში ძალიან სასიამოვნოა ის გარემოება, რომ კატა და ძაღლი მაშინ უფრო შეგნებულნი ყოფილან, ვიდრე ეს დღეს არის, მაგრამ როგორ შეიძლება მათ „ქილილასა და დამანასზე“ რამე ცოდნობათ, როცა „თავდაპირველი სამშობლო მისი არის ინდოეთი, საიდანაც ის მეექვსე საუკუნეში ქრისტეს შემდეგ გადმოუტანიათ სპარსეთში“... ხოლო ქართულად „უთარგმნიათ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, მაგრამ ეს თარგმანი დაკარგულა და ჩვენამდე არ შენახუ-

ლა“ (იხ. პროფ. კ. კეკელიძის ქართ. ლიტ. ისტ. მე-2 ტ., გვ. 305, 306).

მაშასადამე, შეუძლებელია, რომ ასეული საუკუნის წინად ცოდნობათ ეს ამბავი ვერც იმას ვიფიქრებთ, რომ „ქილილას და დამანას“ დაკარგული თარგმანი ექნებოდათ ზეით, რადგან ეს უახლოესი დროის ამბავია.

რამდენიმე სტრიქონის შემდეგ, თქვენ ამბობთ ამირანზე:

მღუმარე ვაჟიც ჩამოჯდა კართან, გახედა დაბლა დაშვებულ მერცხლებს. აიღო კვეთი, ჩამოჰკრა კაშხს და თვალებით გაჰყვა მღვთვამ ნაპერწყმებს. ვაჟი უცნაურად ნაპერწყმის ციმციმს სიღრმად შეხედა ყრიდა მიწაზე. ახელით გახსნა და როგორც ქინძი დაჟინა

შემდეგ დადგა ფიცარზე.

მაშასადამე ცეცხლი უკვე მის ხელთ ყოფილა, და, საკვირველია, რად დაჭირდა მას ღმერთისთვის ცეცხლის წართმევა! კვეთი, კაჟი და აბედი თუ კი აქვს კაცს, მაშინ ცეცხლიც აქვს. გარდა ამისა, უნდა ითქვას, რომ კვეთის გამოჰყვდა, გაკეთება უცეცხლოდ შეუძლებელია, მაგრამ ამაზე აქვე ქვემოთ:

მან გაიხსენა: ცხენი, როდესაც ტორებს დაარტყამს, როდესაც ქვაში გაადნის ცინცხალს, ქვასაც მოღვსაც და ნაპერწყმები იშლება ბარში.

მე კი მგონია, რომ ამირანის დროს ცხენებს არ სჭედდენ. (ნაღდა უშედელი ცხენის ტორი კი ცინცხალს ვერ გააჩენს). ცხენის ფეხსაცმელი კი არა (ნალი ცხენისთვის იგივე ფეხსაცმელია), მაშინ ადამიანი თითონ დადიოდა ფეხშიშველი. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თქვენ როგორ გგონიათ, ნალის გაკეთებას ცეცხლი უკარგობა? მაგრამ თურმე მაშინ სამკედლოც ყოფილა:

წარმოიდგინა სამკედლო შემდეგ, გარდემლზე ამღვარი ცინცხალის მტვერი.

ხელაშვერილი ცაში შვედნო, ცეცხლის და ოქროს დაღვრილი ფერი.

მაშასადამე მას სამკედლო ნახული ჰქონდა, სამკედლო მაშინაც ყოფილა. თუ კი ეს ასეა, კიდევ იბადება კითხვა: რად დაჭირდა მას ღმერთისთვის ცეცხლის წართმევა?

ეს ყველაფერი ცეცხლის შესახებ. მაგრამ ინდუსტრიის ატრიბუტებში სხვაც ბევრია თქვენს თქმულებაში „ამირანზე“; აი, მაგ. ასეთი:

უცქერდა ქალებს და ჭაღრის ნერგებს და ყაჭის სუნი მოჰქონდა ბუღალს.

როგორც თქვენი ამ სიტყვებიდან ჩანს, მეაბრეშუმეობა მაშინაც ყოფილა განვითარებული. მართალია მეაბრეშუმეობას ჩინეთში 2.700 წლის წინად (ქრისტემდე) მისდევდნენ, მაგრამ ამირანი კიდევ უფრო წინად იყო. გარდა ამისა, ამირანი მოღვაწეობდა არა ჩინეთში, არამედ ამიერკავკასიაში, სადაც მეაბრეშუმეობა ფეხს იკიდებს დაახლოებით მე-7—8 საუკ. ქრ. შ.

ბოდიშს ვიხდი, პ. ც. სიმონ, მაგრამ დასასრულ მინდა თქვენი პოემის დასასრულის ორი უკანასკნელი სტრიქონი მოვიგონო:

ქარი რეკავდა სამრეკლოს ზარებს და ეზოებში ისროდნენ თოფებს.

როგორც ამ საუბრის დასაწყისში ვთქვი, ამირანზე თქმულება ეკუთვნის წარმართობის დროს, საკვირველია იმ დროს სამრეკლო ზარები! და ზარებზე უფრო საკვირველია თოფები, რომლებსაც „ეზოებში ისროდნენ“.

მოუსვენრად მოველოდები პოემას გაგრძელებას, სადაც ალბად აღმოჩნდება, რომ ამირანის დროს იყო არა მარტო თოფი, არამედ ტყვიამფრქვევი, ზარბაზანი, ბომბა, გაზი და მგონი — თვითმფრინავიც კი.

ისეაღი.

ფსევდონიმები

ვაჟი:—საკვირველია, ჩვენს მწერალ ქალებს ყველას ფსევდონიმები და მანა-სიათებელი ფსევდონიმები აქვთ: მარიჯან, გარსუული, ცქვიტი.

ქალი:—სამაგიეროდ? ვაჟ მწერლებს ქალის ფსევდონიმები აქვთ: ევდოშვილი, ვარდოშვილი, ლისაშვილი, ფეოდოსიშვილი და სხვები კიდევ!

„ნ უ ც ა ს ს კ რ ლ ე“

ეროვნული
ბიბლიოთეკა


ნახ. დონის



მალაქია:—ქართულის ცუდად მცოდნე მწერლებს)—ეს არის „ა“-ნი.
ეს არის „ბა“-ნი, ისწავლეთ გენაცვალეთ!

არ ასვენებს ზოგ მწერალს განდიდების მანია კლასიკოსობს, რადგან მან იცის ანი-ბანია

ნ.ბ. ღონის



— აბა, აღზილი მოგვაციტო... იჩით-აქეთ მიიწ-მოიწიო... ჩვენც კლასიკოსები ვართ!

თ ე რ მ ი ნ ი ს ბ რ ა ლ ი ა

გარდა ზოგიერთი მწერლებისა, არიან ისეთებიც, რომლებსაც ღირსებათაც კი მიაჩნიათ აზღაუბდა წინადადებებისა და თერმინების ხმარება, რომელთა შინაარსს მკითხველი ვერ იგებს, ანდა ზოგიერთ შემთხვევაში ავტორებიც ვერ ხვდებიან.

აი რას წერს გაზ. „კომუნისმისა-მენ“-ის პირველ მაისის ნომერში კასპის რაიონის ზოტტეჩნიკი კ. ბახტაძე. „საქონელს მოუფაროთ კარგად.

დღემდე ჩვენს რაიონში მეცხოლეობის განვითარებას არავითარია ყურადღება არ ექცეოდა, დღეს კი, როდესაც პარტია და ხელისუფლება მთავარ მნიშვნელობას აძლევს, ჩვენ არ უნდა გამოუშვათ ყურადღებას ცენტრიდან“...

რა შუაშია აქ ავტორი?!—იკითხაოთ თქვენ, —ეს ხომ გილაც უხეროო ცოტეტიორის შეცდომაა, —და შემადარებთ ზოგიერთ ჩვენს „კრიტიკოსს“, რომლებიც მხოლოდ რომელიმე მწერლის წიგნიდან ამოგლეჯულ დამაჯინებულ ციტატებით ამტკიცებენ თავიანთ „გენიალობას“.

აქედანვე ვაცხადებ, რომ მე კრი-

ტიკოსი არა ვარ და უფრო სწორად რომ ვთქვათ მარტის თვესავეთ ყოველდღე არ ვიცვლები.

წავდეთ ქვემოთ:

ერთ მშვენიერ დღეს კასპის ზოტტეჩნიკმა კ. ბახტაძემ ასეთი შინაარსის ცირკულიარები დაგზავნა თემ-საბჭოებში:

„საბჭოს თავმჯდომარეს.
გევალებათ სასწრაფოდ შეარჩიოთ საუკეთესო მწარმოებლები*) და გადაუგზავნოთ საგრილებელ პუნქტს“. ზოტტეჩნიკის ბახტაძე.

— გააკირეს საქმე, სადა მყავს იმდენი მუშა-ხელო, რომ ამ გახურებულ თვისის იროს სოფლიდან სხვაგან გავგზავნო! კასპში ველარ იშოვებს საქმის მწარმოებელი?!—გაიფიქრა რაიონის ერთ-ერთმა თემსაბჭოს თავმჯდომარემ. მაგრამ რას იზამდა, დაელება მაინც შეასრულა და ზოტტეჩნიკ ბახტაძეს სამი საუკეთესო ახალგაზრდა ბჭი გაუგზავნა. (სხვა-

*) მისებურად თურმე ბუღას ნიშნავს.

გვარად როგორ გაეგო ქართულ გლეხს სიტყვა „მწარმოებელი“?).

როგორც იქნა იპოვეს ახალგაზრდებმა „ზოტტეჩნიკის ბახტაძე, რაიონის სოფლის ერთ-ერთ ოთახში.

— თქვენი დავალების თანახმად სამი კაცი მოვედით, გავგზავნეთ სამი მათგანს! მიმართეს ბახტაძეს.

ზოტტეჩნიკს, სახეზე ჭირის ოფლი დაასხა და წამოიღულულა:

— რამ გადაგრიათ კაცი?!

— რატომ გავიკვირდათ, ჩვენ უკვე საყმაო პრაქტიკა გვაქვს ამ საქმეში! — მიმართეს ახალგაზრდებმა“.

— რა ხალხის ხელში ჩავევარი?! — გაიფიქრა ზოტტეჩნიკმა და თავის გაგზავნილ ცირკულიარზე შემდეგ რეზოლუცია წააწერა:

„მიიღეთ სამი კაცი“.

მისთვისანავე ყველაფერი გამოიკვეა.

აი, თუ ვნებავთ ნიშნში იმისა, თუ როგორ „ამდიდრებენ“ ქართულ ენას, ამ საქმით დაინტერესებული „სპეცია-

ლნი“ ახალ-ახალი თერმინებით.

ყარყუმი.

— არა, სარდიონი, საბაჟო საჯაროდ გამოიტანდე, უმჯობესია პროფესიონალურ მწერლების გიწრო ჯგუფში წაიკითხო შენი ნაწარმოები... აი, შემოეცლო ერთ ხალხს შენთან მე და რამდენიმე მწერალი და ერთ-ერთ კრიტიკოსსაც ითან წაშოვიყვანო.

— დიდად დამეცალე... დიდად...
სარდიონი უმაწვილივით ატოკებული დახტადა ოთახში, მიუხედავად ხანში შესულობისა, და მოუთმენლად მოელოდა მწერლების „ბრიგადას“, რომელიც მის ნაწარმოებს ავტორიტეტულ მსჯერს დასდებდა. არა ნაკლებ უტოკავდა გული მწერალთა „ბრიგადის“, წევრებს, რომელთაც იმდენად სარდიონის რომანი არ იზიდავდა, რამდენადაც სარდიონის პურნარილი. სარდიონი მიმზიდველობით სარგებლობდა მწერლებში, როგორც ძველი მედვინე-აგრონომი. მართალია მთელი მისი ახალგაზრდობა მეცენასებობა — მედვინეობის სამსახურში გაატარა, მაგრამ ეს იყო ბედის შეცდომა. მეორეოცდაათე წელი უსრულდება სარდიონს და მხოლოდ ახლა გამოირკვა, რომ მისი მოწოდება არის არა აგრონომობა, არამედ მწერლობა. ძალიან ნაოხს სარდიონი, რომ ამდენი დრო დაჰყარა არა დანიშნულებისამებრ, მაგრამ ბედს მაინც არ წყველის, რადგან ნიჟმა მაინც ნახა თავისი გზა და საცაო შარავანდებით შემოსავს უკვე ჭაღარით შეფიჭულ თავს.

— ჯერ დავიწყეთ, თუ ცოტა წავიზა-კუსკოთ... — რაღადავო სარდიონმა, რომელსაც უკვე გამზადებული ჰქონდა წასაკითხად თავისი რომანის „სედიანის“ ბიპრე-ლი ნაწილი.

— მე მეგონია სჯობს ჯერ ცოტა ვისა-უზმოთ, ცოტა წამოწარებიც ვართ და...
ზაკუსკა ჩვენ ხელს არ შეგვი-შლის... თან ვიზაკუსკოთ, თან მოვუსმი-ნობ! — შემოიტანა წინადადება კრიტიკოსმა გრასტიმ.

სჯობს... დიდებულია! — დაუმატა ლე-ქის ისტატმა კვიროსიმ, რომელიც თან წამოიყვანეს რომანის გალექსილი ადგილე-ბის შესამოწმებლად. წინააღმდეგი არაფერ იყო, წინადადება მიღებულ იქნა ერთ-ხმად.

სარდიონის ზაკუსკა, ისიც ასეთ პატივ-საცემ ზალხისათვის, „ზაკუსკას“ კი არა საქონილო სუფრას ჰგავდა.

თავდაღობარეს დაეცისრა თამაღობაც, რომელიც სიამოვნებით შეითვისა ლექსის ისტატმა კვიროსიმ.

პირველი სადღეგრძელო დაიცალა ახალი ნიჟის, ახალი მნათობის, გამწერლენულ აგრონომ სარდიონის. ერთ-ერთმა კრიტი-კოსმა თავის გრცელ სიტყვაში დაახასიათა თანამედროვე მწერლობის ფრონტი, შემ-დეგ შეერბა ძმა-ბიჭობისა და პურშარილის მნიშვნელობას ნიჟის გაქანებისთვის და კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა არა თვით რომანი, არამედ მისი სათაური „სედიან-ნი“. როგორც ეპოქისთვის შეუფერებე-ლი.

— გამაყვავლოთ, უსათუოდ უნდა გამო-ცვალოთ სათაური, ძლივს მოაბრუნა ენა თავმჯდომარემ, რომელმაც ქათმის კურ-ტულმ ძელმხად აქცია თვალის დახამაშე-ბაზე.

— რა დავაჩვენათ, ბატონებო? — ცოტა უქაოფილო კილოთი თქვა ავტორმა.

— „შედეგო“! წამოიძახა ძველმა და-მასტერებულმა რომანისტმა, რომელიც და-მასტერებულად გააცნეს სარდიონს მიუხე-დავად იმისა, რომ მისი წიგნი ჯერ არავის



• პავლე: — კაცი „ქვა და რკინა“ უნდა იყო, რომ „ეკლიან გზაზე“ აკრიფო „დაფანტული ფურცლები“ და გადაიბრინო „უკანასკნელი გალა სარბენი“.

სეპასტი: — რა მიაჩენიებს ამ პავლეს? აგერ ნელა შევუყვები აქ გადვიარ ამ „გადასასვლელს“!

უნახავს, რასაც თვითონ ხსნის შეუფასე-ბლობით სახელგამის მხრით.

— კი, მაგრამ ჯერ წავიკითხოთ, იქნება არ შეეფერება! — თქვა სარდიონმა.

კარგია, კარგი! — გაისმა ერთხმად, კამათი აღარ გაგრძელბულა, რომანს ეწო-და „შედეგო“.

სარდიონმა თამადას აღარ დაცალა ცოლ-შვილის სადღეგრძელო და პირდაპირ და-იწყო რომანის კითხვა. თამადამ დადგა ჩაისი ჭიქა, რომელიც სწრაფად ისევ აიღო ხელში, როცა სარდიონი წერტილამდე შე-ვიდა.

— გაუმარჯოს იმ შესანიშნავ ოჯახს, რომელიც სარდიონს თავისი მარჯვეზაო ეუტყნია. ამ ჭიქით გსვამ ჩვენი ღიასახლი-სის და მისი ჭალ-ვაჟის სადღეგრძელოს...

— გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — მშვილამ ერთხმად დასძახა.

— გივი მთავარი გმირია? — იკითხა ერთმა — დიხს.

— შესანიშნავია... მე წარმოდგენილა მაქვს, როგორ უყვარს ავტორს თავიში მთავარი გმირი... მგონი, ამხანაგებო, „ექსტრად“ დავლით გივის სადღეგრძელო.

გაუმარჯოს, გაუმარჯოს! — ყველამ ერთად ისე დასძახა „გაუმარჯოს“, რომ ღიასახლისის საცივით საფსე ზღუდიდან კო-ვში გაღმოსუფარდა.

გივის მაგიერ სარდიონს დააღვივნეს ჩაის ჭიქა.

ბევრი ილაპარაკა სარდიონმა იმის შესა-ხებ, თუ რატომ ჰქვია გივი მისი რომანის გმირს, მაგრამ გარდა ღიასახლისისა, მისი სიტყვა არავის ესმოდა.

— მოვუტსინოთ, ამხანაგებო! — ბრბანა თამადამ.

...ერთი ნაბიჯი და გივი უფსკრულში გადაიხივებოდა... კითხვობს სარდიონი.

— აბა! თუ ძმა ხარ, გივის არაფერო შეეშთება... რა, როგორ შეგუყვარდა ეს გმირი...

— აბა, რა სიმბატიურია!

— აი, ძმაგ, ტყვილა კი არ დავარქვით „შედეგო“, მართლაც შედეგია...

„გივიმ ისე უნდა შევლივით“... — განა-გრძობს სარდიონი კითხვას.

— აი, გენაცვალე სულში, — წამოხტა ზეზე თამადა. — ამხანაგებო, მე გსვამ გივის გადარჩენის სადღეგრძელოს, აღარ შემოძლია შევიკავო თავი ალტაცებისაგან. „ექსტრა“.

თვალის დახამაშებაში ჩაის ჭიქები დაი-ცალა.

„გივი შემჯდარი ცხენზედა, იქვე მინდორი ტრიალი, იქვე მდინარე მშფოთარე იმისი გრიალ-გრიალი“...

— ვაჰ, „ტრიალი“... „გრიალი“... რა შესანიშნავი რითმა! რა გამარჯული, რა ლიხევილი ლექსია!... მე, როგორც თა-მადა, და როგორც ლექსის სპეციალისტი, ჩემს ალტაცებას გამოვთქვამ ამ სასმისით...

ეს ვაზა იმიტომ ავიღე, რომ სიმოლო-კაა. ვაზა პოეზიის ემბლემა... ვაზა... შიგ ყვავილები უნდა იყოს... მაგრამ, ამხანა-გებო, იყოს შიგ ღვინო, არაუშავს... ვიგუ-ლისხმობ ყვავილები... მაშინ გაუმარჯოს... ამ ვაზით სარდიონს, როგორც პოეტს...

— შენ ხარ ლექსის სპეციალისტი? მე რაღა ვარ მაშინ? შენზე უარესი ლექსის დამწერს დავასხი...

უფსრე ერთი ამას? ბედაურებს ჭედ-დენო... აგია. დავდე! —

— მე შენ დაგავდებ კარგად... შენი...

გამიშვით, გავაბო შუაზე! შე-უტუტობა თამადამ და ღვინოთ საფსე სი-ბოლიური ვაზა ზედ თავზე დაიფშენა „და-მასტერებულ“, რომანისტს.

„შედეგოს“ კითხვა შეწყდა გაღმქალად აღვილას, რამაც დიდად დასწყობა გული სარდიონს.

„მეგობარი-მეგობარი“

მწერალთა ხელახალი რეგისტრაციის დროს კავშირის გარეშე დატოვებული იქნებიან ის წევრები, რომლებიც აღარ ეწევიან მწერლობას.



წმ. ხარბიშვილი (გარდოშვილი):—აა? როგორ ფიქრობთ: დაგვტოვე-
ბენ კავშირის გარეშე?

ფარსაღიანი (ს. ფაშალიშვილი):—ვა, ბნელა დაგვტოვონ! გოეთემ
„ფაუსტი 34 წელიწადს წერა. ზნაჩიტ ოცი წელი კიდეც გვადროვონ და,
მეგრე ვნახოთ!

ჯავახიშვილმა გამალა
წიგნები სქელოზიანი;
ენის „სიგონჯეს“ სიოდა
მტირალი თვალცრემლიანი.

ტოკავდა სათუთ წნორივით,
გულდაგულ - გულცეცხლიანი,
აფორიაქდენ ფიქრები
დღე დაბნელეს მზიანი.

ეწადა ერთხანს ეყუჩა
ახრჩობდა „ენის ზიანი“,
მაგრამ წინ ამოეტუზა
პოეტი მას ტიციანი.

დაატრიალა ფრაზები,
სიტყვეში შეცდომიანი,
მთა-მთას შესტყორცნა ქედებში,
დაჰკეცა კალთებიანი.

— რა „სიგონჯეა გეთაყვა
თქმა უნდა ბარაქიანი.
სტრიქონებს შეგნის გამართვა
გამოთქმა ხერხიშლიანი.

— ჯლიაშვილი გაეკამათა,
გამძლე და ენა წყლიანი,
სერგოც მღევივით შეება
„ხორჩი“ და „ნარნარხიანი“.

მოტყვად მიმართა სერგოშან.
— რად ხარო მით დარდიანი.
თუ ჩვენს დაჩაგრას ინებებ
ხელთა გვაქვს „მარაბდიანი“.

ავსწოთ ალაც აფრინდეს
შეცდომა ორბის ფრთიანი,
გადინადიროს მარაბდა,
მთებიც მალალი კლდიანი.

შეუცდომელი ვინ არის
მეც ბევრს გწერ „ხელმადლიანი“
სერიოზა ვარ პირიკლი,
ოქროპირ ენა წყლიანი.

ეგრე ნუ გეზაგრავ გეთაყვი
ნუ მოგვაყენე ზიანი.
თორემ ჩვენც დაგეჯახ
პირსავესე ყანწებიანი

ბრძოლა არ გათავებულ
ხმლებს ულესავენ პირებსა,
სხვის თვალში ბეჭედა ეძებენ
თვისში ვერ ხედვენ დიროსა.

ბოკლა.

უცხოეთში

- თქვენ უნდა გადაუხადოთ ზენს რედაქციას თარი ათხი ფრანკი!
- რახთვის, ბატონო რედაქტორო?
- მისთვის, რომ თუ არ გადახადოთ ამ თანხას ჩვენ მოვთავსებთ
მასალას თქვენი გაიქცეობის და შეჭრობების შესახებ.

თავი იმართლა

- პროკურორიდან უნდა ვიხედო ციდან წამებანათან.
- როგორ, რა მოხდა?
- გაწეში გამწერეს: „ნოტიადისტურ საკუთრებათ გამტაცებელი“
მიწოდეს!
- შერე ტყუალია?
- რას ამბობს რა საკუთრება რას გატაცება მე მოლოდინი გავ
ვლანცე გატაცება და თავდასხმა რიგის მიწაწევაში!

როგორც მწერალს, ნიკოდიმოსს, მართალია არ იცნობენ, მაგრამ როგორც პოეტი კი, იგი კაცს არ გაუგონია.

ასეთი დაუმსახურებელი არცნობა მაშინ, როცა ნიკოდიმოსმა რამოდენიმე ტომი მოთხრობა და პოემა დაბეჭდა „უნდერვუდზე“ მემანქანე მარიკოს მშვენიერი თიუბით.

— „საქმე თემა“— ეუბნებოდნენ ნიკოდიმოსს და სტამბაში არ ბეჭდვდნენ, — ჩვენ გვინდა ქარხნების, კოლმეურნეობების ცოცხალი აღამიანები...

— „ეძიებდნენ და პოეტი?— სთქვა ნიკოდიმოსმა, ერთი თვის შვებულება აიღო და ქარხნებში წაიღო ცოცხალი აღამიანების საძებნელად, ამის შემდეგ მან დასწერა დიდი პოემა, რომლის საუკეთესო ადგილებია:

დამკვლავებული, წითელი ქუდით
თავწაყრული და მხნე მებრძოლი ხარ...
ქვა ასროლივ გადღევას ქუდით,
რა დიდებული ქალი ყოფილხარ...
აი, ეს მიყვარს: ენტუზიაზმიო
რომ ინახები, ვით „შენი“ დასვა:

ყოველი წვეთი „შენი“ ოფლისა
ბალხაში არის და აიაზმა...
რა დიდებული დამკვრელი მყავხარ...

აღრიცხვა ვინდა მოგიწესრიგა?
სოცმეჯიბრების ტემპებში გავხარ
აი ის რაა, კოკაანთ გიგა.

გენაცვალე თქო, ენტუზიაზმში,
„შენი“ პათოსი მეც ვაღამელო.
არა, მე წავალ სადმე შორს... კასპში

და უდაბნოში დავეყუდები...
მარგო! სახე გაქვს ისე ხალასი,
ვეგონებ გინთია ელექტრო-ტოკი...

შენი გულისთვის დაგსძლევ ხაისის!
და იქნებ მალე გიგლო ტოკიოც...
დამკვლავებული, წითელი ქუდით,
მაგ დამკვრელობით. მე დავითვერი...

მასროლინა ქვა შეხედვამ ქუდით
და ხვალვე უნდა მოვკლა გიტლერი...
აქედან იგი მთლიან კოლექტივში მი-

ვიდა და ახალი თქმა აღმოხდა:

ადიდებულან ჩაით ქალები,
რა დიდებულად იბრძვის ქალები...
დარიკოს სახე კოლმეურნული

ისე ტკბილია, როგორც ურმული...
ძველად უღელი გტანჯავდა მძიმე—
კულაკ დროიძის—ვერაგ დათოსი,

ახლა ეზომდე რომ მიგაცილე
თათონ ავიგეს „შენი“ პათოსით!
მჯერა კოფრი გაქვს ხელებზე მარო:

კოლმეურნული არის ეს კოფრი...
სოცმეჯიბრში კი ჩაგბამ მარა...
არ მიღალატო, კისერს ნუ მომჭრი...

აი, ეგ სახე კოლმეურნული
იდეური და მისაღებია
მედგრად დასძახე ქალო, ურმული...

აწ კულაკები ვერ გაძლებიან.
ჩვენა გვწამს მხოლოდ ენტუზიაზმი:
გარდევებს ვიცნობ? მიცნობს? ვინ

არა?!

ჩაის კოლხოსის დამკვრელი ქალი
აი, ობიექტი შეუსადარი...

ორივე პოემა უკვე დაბეჭდა: პირველი „უნდერვუდზე“, — მეორე— „რემინგტონზე“, ტირაჟი თითო ცალი. ავტორი— პოეტი ნიკოდიმოსი, გამომცემელი— ნიკოდიმოსი, წამკითხველი — ნიკოდიმოსი.

აღლარ-აღლარსან.



— კლასიკოსობის პრეტენზიებით
თუმცა—ლა არის ჩვენში ასიც-კი,—
მაგრამ მე გამკობ ვარდით, იეზით,
რადგან პირველი შენ ხარ კლასიკი.

კარმის ნვერგე

„სახელგანთქმული“

1 — როგორ გახდა ჩვენი მათე ცნობილი მწერალი, მას ხომ ჯერ არა ფერი დაუწერია?!

— როგორ და სულ ადვილად: შეყვარებულისათვის ალბომში ლექსი ჩაუწერია და მწერალთა კავშირში განცხადება შეუტანია — მიღების შესახებ... მიიღეს, მაგრამ პოეტობა რომ ვერ შესძლო, კრიტიკოსობა დაიწყო. კრიტიკოსობაც ძნელი გამოდგა და მთარგმნელობას მოკიდა ხელი, მაგრამ რაკი უცხო ენები კი არა ქართულიც კარგად არ იცოდა, მთარგმნელობასაც თავი და

ანება, ამგვარად, კაცმა მწერლობის სამი ღარგი გამოიცვალა და როგორ არ გაითქვამდა სახელს?!

„ნიჰის პატრონი“

— რა ნიჭიერი პოეტი ყოფილა აპრაკუნე, ყოველდღე თითო ლექსსა სწერს!!!

— ყოველდღე კი არა ერთი ხუთ ტაეპიანი ლექსი აქვს დაწერილი, ყოველდღილას რედაქციაში მიაქვს და რაკი უწუნებენ, მეორე დღეს იმავე ლექსის „შეკეთებული“ ვარიანტით ევლინება რედაქტორს.

ჟ—მი.

ნიანგოჯან, მოგახსენო
რა ც სათქმელად მიხდა;
(ფეტიქრობ, აღარ დაეჭვდები,
რომ გული მაქვს წმინდა).
ქართულ ენას, როგორც იც
ფუფლდება ყველა,
იძახიან: „ვიღუბებით,
საჭიროა შველა“...
ნამდვილად კი ასეთები
აწამებენ ენას,

გაუგებარ ლექსიკონია
გვიჩუქებდნენ სმენას...
ვინ გინდა, რომ ქართულ
არ ასწავლოს ეხლა?
აი, ვისთან მოგიხდება
ყმათი და შგნლა...
აქ თქვენ ნახეთ მათემატიკა
ბუხალტერს თუ მღვდელსა
ფიზიკოსს თუ საზმეცნიერს
და ყველა გასწავლესა...

ზოგ სკოლებში ასეთ ხალხს
მოუყრიათ თავი,
(ვაი, ვაი, ამით ხელში
ენა „საცოდავი“...)
ახალგაზრდობის წინაშე
მოიხადე ვალი,
„გასწორობულ“ რვეულებსაც
გადაავლე თვალი...
„დატკბები“ რომ წაიკითხავ
იმათ „ლაშა“ ქართულს,
„მასწავლებლის“ სიტყვებსაც თუ
დაინახავ ჩართულს...
ენა კრელი, ბუნდოვანი,
ენა გაცვეთილი,
(თუ არ გჯერა, მოისმინე
მათი გაკვეთილი...)
რას აკეთებს „განსახკომი“,
კაბინეტი ენის,
ასეთ „მცოდნე პედაგოგებს“
სკოლისკენ როდენის? **ნიპოლიკა**

ნახ. თოიძის



ზოგინათ სკოლაში — ლაპროვები ხართ ყველაყაი, ქართულის

ურთკი ვერ გისტავლიათ და ისე ხიშიასა და ანგარიშს რაფერ მიხთებით?!

მხიარულ ვუნებაზე იყო სახელ-
გამის ბუბი ვასო კაშმარაძე. (იგივე
ვასო კაშმარაძე). სწრაფად ათამაშებ-
და თითებს საანგარიშო ჩოთქის
რგოლებზე და თავისთვის ღიღინებ-
და:

— „ჩიკი, ჩიკი, ვახე, ვახე...“

რა ბიჭი ვარ, მოდი მნახეთ...
მნახეთ, მაგრამ ფულებს ნუ მომ-
თხოვთ, თორემ ცუდ ხასიათზე და-
ვდგები და ჩხუბი მოგვივა, ჰა-ჰა-ჰა...
— ასე სიცილით დაბოლავა ვასო კა-
შმარაძემ თავისი სიმღერა და „სა-
ქმიანობას“ შეუდგა.

— იმ ღლაპმა რადიოსტუდიის
გლაგებუბმა გოგია კვალაშვილმა
უნდა მაჯობოს?! თურმე ფულისა-
თვის მისულ მწერალს შეხედავს და
თუ ცოტა გრძელი ცხვირი აქვს
ერთ კაპეიკასაც არ მისცემს
ხოლმე. აი ბიჭიც ისა ყოფილა. რა-
ღა არიან ახლა ჩვენთან მწერლები,
თუ არა ფეხის ლანჩა. ვერცხვალე
ბუღალტრობის მომგონს...

— რა აკვიატებული კაცია ეს მი-
ხეილი, ყოველ ორ კვირაში ერთ-
ხელ მოდის და ფულს თხოულობს...
რად უნდა „არსინა მარაბდილის“ ავ-
ტორს ფული, ის არ ეყოფა, რომ
ანოდენა სახელი აქვს...

ჩამოიღნა საფეხმძღველო და-
უწყრია ზომღეთელს და სიხარუ-
ლიძეს ამ წიგნის ფული რომ სრუ-
ლად მიეცე, ბურჟუეზად იქცევიან
და საბჭოთა ქვეყანას ზარალს მია-
ყენებენ. ესეც რომ არ იყოს, რად
უნდა აიღონ იმათ ჩემზე მეტი ფუ-
ლი?! — შეეკითხა თავისთვის ვასო
კაშმარაძე, სწრაფად აათამაშა თი-
თები საანგარიშო ჩოთქზე და ერთ-
ერთ ავტორის სახელმძღვანელოს
3 ფორმა სწრაფად ჩამოაკლო...

— ბიჭოს. ეს რა არის ყურ. „პიო-
ნერის“ ჰონორარების სია. 840 მა-
ნეთი. ალბად აქედან ჩემ შვილსაც
ერგება ერთი ხუთი თუმანი, მაგრამ
რა არის საწყალი კაცისათვის ხუ-
თი თუმანი! ეს სამოცი მანეთიც სა-
განსოთ იყოს ჩემი ავთანდილსათ-
ვის. — გაითქრა ვასო კაშმარაძემ
და სიაზე წააწერა:

— „გაეცით 900 მანეთი“.

ვიდევ უნდოდა „ესაქმა“ ვასო
კაშმარაძეს, მაგრამ გაახსენდა, რომ
ყველაფერს თუ ახლა გააკეთებდა,
სალამოს ცვლისათვის, რომელზე-
დაც ტყუილბრალოდ იღებს ორ-
მაგ ხელფასს, „სამუშაო“ აღარ და-
ჩრებოდა და დანარჩენი „სამოღვა-
წეო საქმეები“ სალამოსთვის გადა-
სდო.

მოკითხვის წერილი

(მაღლაკი, მუთაისის რაიონი)

იაშას სიგელი
(სხამი, ზიათ. რ.)

გერმანული
გერმანული

— გამარჯობა სიკო შენი! წერილის პასუხი ცოტა დამიგვიანდა, მაგრამ ბოლო დროს აღარ მაქვს მოცალება, ბევრს ვმუშაობ, ხომ იცო მთელ მაღლაკში ერთადერთი „სპეცი ბუნი“ მე ვარ და რაღა გასაკვირია რომ დატვირთული ვიყო საქმეებით! მწერ, როგორც ცხოვრობო, კარგად, კარგი არ მოაკლოს დღერტმა ჩემი ძმაბიკებს, სულ მაწინაურებენ და მიმატებენ ლუკმას. ახლა ხუთ ადგილას ვმუშაობ ბუჭხალტერის და მოანგარიშის თანამდებობაზე. შენ შეიძლება გაგიკვირდეს ხუთ ადგილზე, როგორ ასწერებს მუშაობასო, ხომ იცო მოხერხება საჭირო ყოველთვის და თუ კაცს მოხერხება აქვს იმას არაფერი გაუჭირდება! შენ გგონია ხუთ ადგილას მართლა ვმუშაობ? ჭკვიანი კაცი ხარ და ქე მსხედლები—ჯამაგირს ვღებულობ ზე-

მო სიკო, ჯამაგირს და ქე ვცხოვრობ გუარიადა.

მწერ—სას.სამ. არტელ „კომკა, ვი-რმა“ რომ ხორბალი მიიღო ჩაის კოლ-მეურნეებს შორის გა-ნაწი-ლებლად იმას მართლა თუ დააკლდი მას კილოვო! შენგან არ მიკვირს? დააკლდა კი არა დავაყელი.

გავკარ-გამოკარი საანგარიშოა ჩემი გამოცდილი ხელი და საქმეც მოქაზარადა! აბა, ვინ სულელი არ დიჯერებდა, რომ ხორბალი ნაწილი თაგვებმა შეჭამეს მეთქი! ასე რომ არ შექნა ჩემი ძმა-ბიკი მიტროფანე კოლაძე ბაზარზე გაყიდდა ხორბალს? ბაზარზე, კი არა—კუჭი გაუხმებოდა შიმშილით!

ასე ჩემო, სიკო, ჯერ-ჯერობით ქე ვარ გუარიადა! მომწერე წერილი. შენი ძმა და მეგობარი კოსტა ტყე-შელაშვილი.

ნიანგელი.

იაშამ სთქვა ნოქრად ჩემი ფული ბევრი გქამეო ვქეთფობდი ძმა-ბიკებს ში ხან დღით, ხანაც ღამეო.

საქონელი ღამაზე ქალებს სახლში გავატანეო, ფლანგვა-ქაფვის კამპანია კარგად ჩავატარეო!

„დამზადების გვერტებითაც ჩაფისველი ყელიო, ტაფაშეწარიც გაახელი მეტად გემრიელიო,

მაგრამ უკვე რევიზიამ ჩამიშაბა დღენიო, დამიკარგა საქაფავი და განცხრომა ძეგლიო!

იაშა ვარ იაშაილი ძველი დარღიმანდი ვარ, შვილას მანეთს ყლაპი ვუყავ თავისუფლად დავდივარ!

სოფლელი.

კითხვა-პასუხი

(ზმსტაფონისათვის)

მასწავლებელი—(მოწაფეს) ვინ ვარ მე?

მოწაფე—(გაკვირებული) თქვენ ბრძანდებით ჩვენი მასწავლებელი — ჩემი მამის სახელი!

— არ ვიცი მასწავლებელი!

— დევგდე, შენ არ ვარგებარ!

მიმართავს მეორე მოწაფეს!

— ღვინოს სეამ?

— ცოტას ბატონო, მამაჩემი ბევრს სეამს.

— მამაშენზე არ გეკითხები, მამა შენი მე ბევრჯერ დამითვრია, შენ ის მითხარი—სიმღერა იცო?

— არ ვიცი მარა მიყვარს სიმღერა, ამას წინაღი თქვენი რომ მთავარი იყავით და მღეროდით ისე მომეწონა, რომ დიდხანს გისმენდით, მერე ჩსუბი რომ ატეხეთ და იყვირეთ — მაშინ კი შემეშინოა და გავიქეცი.

— მ გი რა შენი საქმია რომ, მო-ყვები ახლა... დიგვდე!

მიმართავს შემდეგ მოწაფეს:

— რას ჩამოგიშვია ბიკო ცხვირი, მოყვები გაკვეთილი!

— თქვენზე ამობენ, დღეს მიტომ არის გაჯავრებული, რომ გუშინ არ უჭიფებიაო!

— ეს არის გაკვეთილი? რაებს ბო დაგ შენ მამა... (მივარდება მოწაფეს და დასცხებს).

თავდება გაკვეთილი, იწყება შემდეგი. შეპირის კოსტა ქანტურიძე.

— მოწაფეებო, კოლქტივიზაცია ზარმაკების მოგონილია, მიჰი არაფერი იწამოთ, შრომის ნაყოფიერების ხელისშემწყობი კერძო შრომა! ხომ გაიგეთ! ხო და ახლა მე ცოტა მეჩქარე ბა და უნდა წავიდე, სხვა საჩე მაქვს, დღეს ამით ვათავებ გაკვეთილს და სასწრაფოდ გაუღდება გზას.

იჩო.

დაშკრული

(სოფ. ილემი, ზმსტ. რ.)

ბევრმა იცის რომ არ არის ეს ახალი თემა,

(მასწავლებლისაგან იქნებ თქვენც იგემეთ ცრმა!) წინედ იყო, იმ შავ დროში.

შემთხვევები ხშირი, როს მოწაფეს „აღმზრდელისგან“ ემტერებოდა ცხვირი!

მაგრამ თურმე დღესაც ხდება ამგვარი რამ კიდევ,

დღესაც ზოგი პედაგოგი ძველ გზა და კვალს მოსდევს! სოფელ ილემს ამ მხრივ ხდება

პირველი ადგილი, სად ქალი პედაგოგი

ნონა—მეტად „ზრდილი“, მუშტი-კრივით ვინაც ბევრჯერ

ისახელა თავი, და მოწაფე გაასივა ციმბით—საკოდავი.

ლენი.

გერმანული გერმანული

შურ. „ნიანგის“ ხელისმომწერითა საუბრადღმგოდ!

თანახმად ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილებიხა შურ. „ნიანგი“ თვეში გამოვა ორრი ნომერი. ხელისმომწერლებს, რომლებსაც დადგენილი აქვთ საბი ნომრის ფასი, ხელისმომწერა გაუგრძელებიხაო გადსხდილი ფულის კვალობაზე.

შურ. „ნიანგის“ რედაქცია.

გერმანული გერმანული



დღეს რას იტყვობა
 ბარათაშვილი

აი მიდამო ჩემს ღრუში მწუხრი და მიუსაზარი
 რას გამოჩნდება იმასთან ჩემი მერანის ფაფარი?
 რომ მოსწავბოდა ქალაქი ჩემი ამ საუკუნესა,
 ვინ იცის... იქნებ ტისაქენ არც კი დამკრავდი ჭუნესა.